

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საბიუჯეტო კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის შემადგენლობაში დღეის მდგომარეობით გაწევრიანებულია 15 დეპუტატი.

კომისიის თავჯდომარეა-პავლე კიკალიშვილი

კომისიის მდივანია-ლენა აბაშიძე

კომისიის წევრები: გივი თხელიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, პაატა გოგოლაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ვახტანგ ტალახაძე, დავით კიკნაძე, მალხაზ ფხალაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, იუზა კელენჯერიძე, აკაკი ლურსმანაშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი, ქეთევან ზუმბაძე, გივი თავზარაშვილი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გეგმიურად და ბიუროს დავალებით განიხილავს ყველა იმ საფინანსო-სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელიც საკრებულოშია ინიცირებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი, შეიმუშავა საბიუჯეტო შენიშვნები, რომელთა გათვალისწინების თხოვნითაც მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას. ჩვენი უპირველესი შენიშვნები და მოთხოვნები იყო ინფრასტრუქტურული და სოციალური ხარჯების გაზრდა რაც იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტის შედგენა დამტკიცებისას. ე.ი. მუციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ ვარიანტში ასახა რამდენიმე აუცილებელი და აქტუალური საკითხი, რომელიც კომისიის მიერ იყო გააქტიურებული. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის ჩართულობით ბიუჯეტის პროგრამულობის მხრივ 2021 წლის ბიუჯეტში გარკვეული პროგრესი გვაქვს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები აისახა კომისიის დასკვნაში.

კომისიამ უკმაყოფილება გამოთქვა ინფრასტრუქტურული პროექტების წლიური გეგმის შეუსრულებლობაში.(ცხრ. #5) იგულისხმება როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის, ასევე

ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია. წყლის სისტემის განვითარება და რეაბილიტაცია.

ჩვენმა კომისიამ მოისმინა ინფორმაციები თვითმართველი ერთეულის 2021 წლის სამი და ექვსი თვის (კვარტალური) ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ, რის შემდგომაც მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გაცნობისა და გათვალისწინების წინადადებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018900 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული 7 საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად შემოსულობები გაიზარდა 9 701,100 ათასი ლარით ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დაგეგმილი 9090100 ათასი ლარი გაიზარდა 12513500 ლარით და განისაზღვრება 21603600 ლარი. კომისია გაეცნო სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციებს და აქტიური მონაწილეობა მიიღო სამართლებრივი აქტების მომზადებაში, რომელთა შემუშავებაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეკომენდაციების ნაწილში ეხებოდა. კერძოდ 29 გაცემულ რეკომენდაციაში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში თავის საანგარიშო პერიოდში განიხილა საბიუჯეტო ცვლილებების ყველა პროექტი 7, რომელიც საკრებულოში მერიის მხრიდან იყო წარმოდგენილი და საკრებულოს სხდომაზე გამოვიდა თანამომხსენებლად.

კომისიის წევრები ჩართული ვიყავით და ვართ პანდემიით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგის პროცესში, რის შემდგომაც კომისიის წევრებმა ერთსულოვნად მოვითხოვეთ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დაფინანსების გაზრდა. მერიამ ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში საკითხი დადებითად გადაჭრა.

კომისიის წევრები ვესწრებოდით მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ საერთო კრებას, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

კომისიაზე დეტალურად მოვისმინეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების შესახებ და მერიას მივეცით რეკომენდაცია, რომ მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსება გაიცეს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ და დასაბუთებულ შემთხვევებში. დღეის მდგომარეობით გაცემულია 50000 ლარიდან გაცემულია 24800 ლარი დარჩენილია 15200 ლარი, აქედან კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა- ძალა ერთობაშია“-ს წერილი ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობებისთვის სახელფასო ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით.

მსჯელობისა და დებატების, ფაქტების შეჯერების და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, ა(ა) ი.პ. კულტურის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თანამშრომლობს საკრებულოს თავმჯდომარესთან, ფრაქციებთან და კომისიებთან.

კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს აგვარებს საკრებულოს აპარატი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ ოპოზიციონერი დეპუტატები, რომელთა ჩართულობით მიიღება კონკრეტული გადაწყვეტილებები.

აღსანიშნავია პოზიტიურია, რომ ქვორუმის არ არსებობის გამო ჩანიშნული სხდომა არასოდეს ჩაშლილა.

კომისია მომავალში ვგეგმავთ პოზიტურად და ეფექტურად გავაქტიუროთ ჩვენი საქმიანობა. კომისის წევრების განსჯის შემდგომ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება რომ საკითხის ირგვლივ მსჯელობა მიმდინარე წელს განახლდეს ინიცირებულ წინადადებაზე. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს აღნიშნულ საკითხზე მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვისას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე

/პავლე კიკალიშვილი/

16. 08.2021 წელი